



საქართველოს მედია-კლუბი
GEORGIAN MEDIA CLUB

2020 წლის საპარლამენტო არჩევნები

წინასაარჩევნო პერიოდში საარჩევნო
სუბიექტებისთვის თანაბარი გარემოს
შესაქმნელად ადგილობრივი
თვითმმართველობის საქმიანობის მონიტორინგის
ანგარიში
(ოქტომბერი)

30 ოქტომბერი, 2020

ანგარიშის მომზადება შესაძლებელი გახდა „ღია საზოგადოების ფონდის“ მხარდაჭერით.

ანგარიშში გამოთქმული მოსაზრებები ეკუთვნის მხოლოდ „საქართველოს მედია-კლუბს“ და შესაძლოა, არ
გამოხატავდეს დონორ ორგანიზაციის შეხედულებებს.



სარჩევნი

I - შესავალი	3
II - წინასაარჩევნო კამპანიაში (აგიტაციაში) ხელის შეშლის ფაქტები	4
✚ აგიტაციის გაწევის მცდელობისთვის დაჯარიმებული საარჩევნო სუბიექტები	5
✚ სააგიტაციო მასალის ჩამოხვეის/დაზიანების/გადაკვრის ფაქტები	7
III - ადმინისტრაციული რესურსის გამოყენების ფაქტები	12
✚ მაჟორიტარი დეპუტატობის კანდიდატების მონაწილეობა სახელმწიფო და ადგილობრივი ბიუჯეტით დაფინანსებულ ღონისძიებებში	13
✚ ადგილობრივი თვითმმართველობის ორგანოების კუთვნილი სატრანსპორტო საშუალებების გამოყენების ფაქტები	14
✚ მუნიციპალიტეტების საჯარო მოხელეებისა და მოსამსახურეების facebook-ის გვერდების გამოყენების ფაქტები მმართველი პარტიისა და მისი კანდიდატების სასარგებლოდ	14
✚ საჯარო სკოლებისა და საბავშვო ბაღების თანამშრომელთა მონაწილეობა საარჩევნო კამპანიაში	16
IV - ამომრჩევლის სავარაუდო მოსყიდვის ფაქტები	16
V - ძალადობის, გენოლისა და დაშინების ფაქტები	18
✚ ძალადობის ფაქტები	18
✚ ზეწოლისა და დაშინების ფაქტები	20

I - შესავალი

წინამდებარე ანგარიში მოიცავს საქართველოში 2020 წლის საპარლამენტო არჩევნების წინასაარჩევნო მონიტორინგის შედეგებს. ანგარიშში შესულია ორგანიზაციის მიერ 1 ოქტომბრიდან 29 ოქტომბრის ჩათვლით დაფიქსირებული დარღვევები.

მონიტორინგი, „ღია საზოგადოების ფონდის“ ფინანსური მხარდაჭერით, სადამკვირვებლო ორგანიზაციის - „საქართველოს მედია კლუბის“ პროექტის - „წინასაარჩევნო პერიოდში საარჩევნო სუბიექტებისთვის თანაბარი გარემოს შესაქმნელად ადგილობრივი თვითმმართველობის საქმიანობის მონიტორინგი“ - ფარგლებში ხორციელდება.

მონიტორინგის მიზანს წარმოადგენს, შევისწავლოთ, თუ როგორ ასრულებენ წინასაარჩევნო პერიოდში ადგილობრივი თვითმმართველობები საქართველოს ორგანული კანონის, „საქართველოს საარჩევნო კოდექსის“ 45-ე, 46-ე, 48-ე და 49-ე მუხლებით დაკისრებულ ვალდებულებას და წინასაარჩევნო პერიოდში „საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის 162¹; 164¹ და 164⁴ მუხლებით დადგენილ რეგულაციებს.

შესაბამისად, ანგარიში შედგება შემდეგი ნაწილებისგან:

1. **წინასაარჩევნო კამპანიაში (აგიტაციაში) ხელის შეშლის ფაქტები** - რამდენად იქნა დაცული „საქართველოს საარჩევნო კოდექსის“ 45 მუხლის მოთხოვნა (წინასაარჩევნო აგიტაციის, ამომრჩეველთან შეხვედრების, შეკრებების, მანიფესტაციების თავისუფალ და უსაფრთხო გარემოში წარმართვა, სააგიტაციო მასალის თავისუფლად გავრცელება)
 - აგიტაციის გაწევის მცდელობებისთვის დაჯარიმებული საარჩევნო სუბიექტები
 - სააგიტაციო მასალის ჩამოხვევის/დაზიანების/გადკვრის ფაქტები
2. **ადმინისტრაციული რესურსის გამოყენების ფაქტები** - რამდენად დაიცვეს მუნიციპალიტეტის ორგანოებმა „საქართველოს საარჩევნო კოდექსის“ 45-ე, 48-ე და 49-ე მუხლებით დადგენილი რეგულაციები (მუნიციპალიტეტის ბიუჯეტის დაფინანსებით ორგანიზებულ ღონისძიებაზე/პრეზენტაციაზე ორგანიზატორის მიერ წინასაარჩევნო აგიტაციის გაწევა, საბიუჯეტო სახსრების, საჯარო ფინანსებით განხორციელებული პროექტების, ადგილობრივი ხელისუფლების ორგანოების კუთვნილი ფინანსური და მატერიალური რესურსების გამოყენება პოლიტიკური სუბიექტის სასარგებლოდ, წინასაარჩევნო პერიოდში არაუფლებამოსილი პირების მონაწილეობა რომელიმე საარჩევნო სუბიექტის სასარგებლოდ წინასაარჩევნო აგიტაციაში და წინასაარჩევნო ღონისძიებებში, წინასაარჩევნო აგიტაციის გაწევას სამუშაო საათების დროს და ა.შ.)
 - მაჟორიტარი დეპუტატობის კანდიდატების მონაწილეობა სახელმწიფო და ადგილობრივი ბიუჯეტით დაფინანსებულ ღონისძიებებში
 - ადგილობრივი თვითმმართველობის ორგანოების კუთვნილი სატრანსპორტო საშუალების გამოყენების ფაქტები
 - მუნიციპალიტეტების საჯარო მოხელეებისა და მოსამსახურეების ფეისბუქის გვერდების გამოყენება მმართველი პარტიისა და მისი კანდიდატების სასარგებლოდ
 - საჯარო სკოლებისა და საბავშვო ბაღების თანამშრომელთა მონაწილეობა საარჩევნო კამპანიაში

3. **ამომრჩევლის სავარაუდო მოსყიდვის ფაქტები** - რეგულირდება „საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის“ 164¹ მუხლით. - ადგილობრივი თვითმმართველობის ორგანოების ან მათ წარმომადგენელთა მხრიდან საარჩევნო მიზნით, პირდაპირ ან არაპირდაპირ ფულის, ფასიანი ქაღალდის (მათ შორის, ფინანსური ინსტრუმენტის), სხვა ქონების, ქონებრივი უფლების, მომსახურების ან სხვა რაიმე უპირატესობის შეთავაზება, დაპირება, გადაცემა ან გაწევა, ან წინასწარი შეცნობით ასეთის მიღება, ანდა კანონით დადგენილი შეზღუდვებისათვის თავის არიდების მიზნით მოჩვენებითი, თვალთმაქცური ან სხვა გარიგების დადება.
4. **წინასაარჩევნო პერიოდში ძალადობის, ზეწოლისა და დაშინების ფაქტები** - რეგულირდება „საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის“ 162¹ მუხლით - თვითმმართველობის ორგანოების წარმომადგენელთა მხრიდან (პოლიტიკური თანამდებობის პირები, მუნიციპალიტეტის ადმინისტრაციული ერთეულების წარმომადგენლები, საჯარო მოსამსახურეები) წინასაარჩევნო აგიტაციის ან წინასაარჩევნო კამპანიის ღონისძიების დროს ცემა ან სხვაგვარი ძალადობა.

ინფორმაციის წყაროს წარმოადგენდნენ საპარლამენტო არჩევნებში მონაწილე საარჩევნო სუბიექტები, სადამკვირვებლო ორგანიზაციები, ელექტრონული და ბეჭდვითი მედიასაშუალებები, სოციალური მედია და ადგილობრივი აქტივისტები. მონიტორინგის პროცესში შემოსული ინფორმაცია შეძლებისდაგვარად მოწმდებოდა სხვადასხვა დამოუკიდებელ წყაროსთან და ადგილობრივი თვითმმართველობის ორგანოებთან, მათ შორის, მუნიციპალიტეტებიდან საჯარო ინფორმაციის გამოთხოვის გზით.

II – წინასაარჩევნო კამპანიაში (აგიტაციაში) ხელის შეშლის ფაქტები

27 ოქტომბერი

ხულოს მუნიციპალიტეტი

ხულოს მუნიციპალიტეტის სოფელ დიდ აჭარაში "ერთიანი ნაციონალური მოძრაობის" წევრებმა და აქტივისტებმა "ქართული ოცნების" მაჟორიტარი დეპუტატობის კანდიდატის, ანზორ ბოლქვაძის ამომრჩევლებთან შეხვედრის ჩაშლა სცადეს. ინფორმაციას ბათუმში "ქართული ოცნების" შტაბის ხელმძღვანელი გიორგი მანველიძე ავრცელებს და აცხადებს, რომ ინციდენტში ხულიგნობის ბრალდებით დაკავებული ფირუზ წულუკიძის ძმაც მონაწილეობდა, რომელმაც ძმის გათავისუფლების მოთხოვნით ბათუმში არაერთი აქცია გამართა.

12 ოქტომბერი

კასპის მუნიციპალიტეტი

„ერთიანი ნაციონალური მოძრაობის“ მიერ მოწოდებული ინფორმაციით, კასპის მუნიციპალიტეტის სოფელ ხოვლეში მერის წარმომადგენელმა თამაზ ხუციშვილმა, რომელიც არაფხიზელ მდგომარეობაში იყო, გაერთიანებული ოპოზიციის დეპუტატობისა და მერობის კანდიდატების მოსახლეობასთან შეხვედრის ჩაშლა სცადა.

აგიტაციის განვითარების მცდელობისთვის დაჯარიმებული საარჩევნო სუბიექტები

საანგარიშო პერიოდში კვლავ სერიოზულ პრობლემად დარჩა ადგილობრივი ხელისუფლების ორგანოების მიერ საარჩევნო სუბიექტებისთვის კამპანიის საწარმოებლად არათანაბარი პირობების შექმნა, ხელშეშლა და აგიტაციის განვითარების მცდელობისთვის საარჩევნო სუბიექტების დაჯარიმების ფაქტები. ამგვარი ფაქტები „საქართველოს მედია-კლუბმა“, წინა საანგარიშო პერიოდის მსგავსად, ამჯერადაც კვლავ თბილისში დააფიქსირა, ხოლო სანქციები კვლავ ერთი საარჩევნო სუბიექტის - „სტრატეგია აღმაშენებლის“ მიმართ არის გამოყენებული.

„სტრატეგია აღმაშენებელი“, მხოლოდ ოქტომბერში, პარტიის სარეკლამო ბანერის, კარვებისა და მაგიდის ღრობებით გაშლისთვის 11-ჯერ დაჯარიმდა: ჯამში, ოქტომბერში პარტიის მიმართ 19 ათასი ლარის ჯარიმის გამოწვევით.

გამოწერილი ჯარიმებია:

17 ოქტომბერს 2 ჯარიმა - ბერი გაბრიელ სალოსის ქუჩაზე, ოქმი N003557, მუხლი 150(3)3, ჯარიმა 1000 ლარი; მეორე - ოქმი N003558, მუხლი 150(3)3, ჯარიმა 1000 ლარი; (სარეკლამო კარვის თვითნებურად განთავსების გამო).

16 ოქტომბერს - ვაჟანტირაძისა და უშბას ქუჩის კვეთაზე, ოქმი N003556, მუხლი 150(3)3, ჯარიმა 1000 ლარი; (კარვის განთავსების გამო).

15 ოქტომბერს - ქეთევან წამებულის გამზირი N25-ში, ოქმი N00355, მუხლი 150(3)4, (კულტურული მემკვიდრეობის ზონაში თვითნებურად განთავსებული მაგიდა), ჯარიმა 5000 ლარი;

13 ოქტომბერს - ლევ კაჩინაკისა და აწყურის ქუჩის კვეთა, ოქმი N003547, მუხლი 150(3)3, ჯარიმა 1000 ლარი; (კარვის განთავსების გამო).

12 ოქტომბერს - ბერი გაბრიელ სალოსის 105-ში, ოქმი N003546, მუხლი 150(3)3, (მაგიდის თვითნებურად განთავსების გამო), ჯარიმა 1000 ლარი;

8 ოქტომბერს - თბილისის მერიის წარმომადგენლებმა „სტრატეგია აღმაშენებელი“, თავისუფლების მეტროს წინ, სარეკლამო კარვების უნებართვო განთავსების გამო დააჯარიმეს. (შოთა რუსთაველის გამზირი N2-ში, ოქმი N003542, მუხლი 150(3)4, ჯარიმა 5000 ლარი. რაც გულისხმობს თბილისის მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე კონსტრუქციების თვითნებურად განთავსებას — საქართველოს კანონით დადგენილ კულტურული მემკვიდრეობის დამცავ ზონაში);

პარტიაში აცხადებენ, რომ თავისუფლების მეტროს წინ, ტროტუარზე, სამი ბრენდირებული კარავი ღრობით განათავსეს, სადაც აგრძელებდნენ ხელმოწერების შეგროვებას საბანკო სესხების ჩამოწერის დაპირებასთან დაკავშირებით. პარტიის ერთ-ერთი ლიდერი სერგო ჩიხლაძე პირდაპირ ეთერში აკეთებდა გაცხადებას, რა ღროსაც თბილისის მერიის ინსპექციის სამსახურმა პარტია 5000 ლარით დააჯარიმა. ქალაქის იერსახის დამახინჯების მიზეზით. დაჯარიმებისას მოხდა მცირე დაპირისპირებაც (იხ. [ფოტომასალა](#))

6 ოქტომბერს (კარვის განთავსების გამო) გამოწერილია 3 ჯარიმა:

1. ბერი გაბრიელ სალოსის გამზ N49-ში, ოქმი N003160, მუხლი 150(3)3, ჯარიმა 1000 ლარი;
2. ბერი გაბრიელ სალოსის N102-ში, ოქმი N003161, მუხლი 150(3)3, ჯარიმა 1000 ლარი;
3. დიდგორისა და შ.დოლიძის ქუჩებს შორის, ოქმი N003541, მუხლი 150(3)3, ჯარიმა 1000 ლარი.

5 ოქტომბერს, თბილისის მერიის წინ „სტრატეგია აღმაშენებლის“ მიერ გამართულ საპროტესტო აქციაზე, 4 აქტივისტი პოლიციისათვის წინააღმდეგობის გაწევის საფუძვლით დააკავეს, პარტია კი იქვე კარვების უნებართვოდ განთავსების გამო დააჯარიმეს. (ოქმი: N003544, ჯარიმის მუხლი:150 (3)3, თანხის ოდენობა: 1000 ლარი).

აქცია თბილისის მერიის მიერ გამოწერილი ჯარიმების გაპროტესტებასა და მათი ჩამოწერის მოთხოვნას ეხებოდა. მოგვიანებით, პოლიციამ დაკავებული აქტივისტები გაათავისუფლა, თუმცა, სასამართლოს ამ დრომდე არ უმსჯელია ადმინისტრაციული სახდელის შეფარდების საკითხზე (აღსანიშნავია ის, რომ კარვების, მაგიდების და პლაკატების უნებართვოდ განთავსების მიზეზით „სტრატეგია აღმაშენებელს“ უკვე 115 000 ლარზე მეტი ოდენობის ჯარიმა აქვს გამოწერილი). იხ. [ფოტომასალა](#)

ამის პარალელურად, „გიორგი ვაშაძე - სტრატეგია აღმაშენებლის“ იდენტური აქცია წამოიწყო **23 ოქტომბერს** ქალაქ ბათუმში მმართველმა პარტიამ - „ქართულმა ოცნებამ“. კერძოდ, ქალაქში რამდენიმე ადგილას, მათ შორის, კულტურული მემკვიდრეობის ზონად გამოცხადებულ ტერიტორიებზე (ზურაბ გორგილაძის და ლერმონტოვის ქუჩების კვეთა; მემედ აბაშიძის და მელიქიშვილის ქუჩების კვეთა; ინასარიძის ქ. №14-ის მიმდებარედ; აღმაშენებლის ქ. №30-ის მიმდებარედ) გამოჩნდა „ქართული ოცნების“ საარჩევნო პლაკატებით ბრენდირებული დროებითი მსუბუქი [კონსტრუქციები](#), რომლის წინაც დგას მაგიდები სააგიტაციო მასალებით.

„საქართველოს მედია კლუბმა“ 23 ოქტომბერსვე ბათუმის მერიას გაუგზავნა წერილი იმის გასარკვევად, მიმართა თუ არა „ქართულმა ოცნებამ“ ქალაქ ბათუმის მერიას მსუბუქი კონსტრუქციების დადგმის ნებართვის მისაღებად და აღნიშნული მიმართვის საფუძველზე, გასცა თუ არა მუნიციპალიტეტის შესაბამისმა სამსახურმა თანხმობა.

ჩვენი წერილის პასუხად, ქ. ბათუმის მერიამ გამოგვიგზავნა მუნიციპალიტეტის ვიცე-მერის (მერის მოვალეობის შემსრულებელი), არჩილ ჩიქოვანის მიერ მოქალაქეთა პოლიტიკური გაერთიანება „ქართული ოცნება - დემოკრატიული საქართველოს“ ქალაქ ბათუმის საარჩევნო შტაბის უფროსის, გიორგი მანველიძისადმი **26 ოქტომბერს** გაგზავნილი [წერილის](#) ასლი. ამ დოკუმენტიდან ირკვევა, რომ ქ. ბათუმის მერია არ არის წინააღმდეგი ქალაქის ცენტრში “ქართული ოცნების” პლაკატებით ბრენდირებული სააგიტაციო მსუბუქი კონსტრუქციების განთავსების. **წერილი 26 ოქტომბერთაა დათარიღებული, რითაც შეგვიძლია დავასკვნათ, რომ ბათუმის მერიამ აღნიშნული კონსტრუქციების დადგმის ნებართვა გასცა პოსტფაქტუმ, მათი ქალაქში განთავსებიდან 3 დღის შემდეგ.**

როგორც უკვე აღვნიშნეთ, „ქართული ოცნების“ აღნიშნული აქცია სრულად იდენტურია საარჩევნო სუბიექტის - „გიორგი ვაშაძე - სტრატეგია აღმაშენებლის“ მიერ წინასაარჩევნო კამპანიის ფარგლებში თბილისში, ოქტომბრის თვეში, მეტროსადგურებთან სააგიტაციო მიზნით პარტიის ატრიბუტიკით აღჭურვილი მსუბუქი კონსტრუქციების დადგმის მცდელობისა, რის გამოც ეს ორგანიზაცია თბილისის მერიამ, მარტო ოქტომბრის თვეში, 19 000 ლარით დააჯარიმა.

უფრო ადრე, 2020 წლის ივნისში, როდესაც ამავე პარტიამ იგივე მოთხოვნით, წინასაარჩევნო აგიტაციის წარმართვის მიზნით, თბილისის მერიას რამდენიმე მეტროსადგურთან კარვების და მაგიდების დადგმის მოთხოვნით მიმართა, ქალაქ თბილისის მერიამ მას უარი უთხრა იმ მოტივით, რომ მსუბუქი კონსტრუქციების დროებით განსათავსებლად აუცილებელი იყო პარტიისათვის მუნიციპალური ქონების (შესაბამისი მიწის ნაკვეთების) სარგებლობის უფლებით გადაცემა. ვინაიდან თბილისის მუნიციპალიტეტი მუნიციპალური ქონების სარგებლობის უფლების გადაცემას ახორციელებს აუქციონის წესით, მერიამ პარტიას შესთავაზა მუნიციპალური ქონების სარგებლობის უფლების მოსაპოვებლად კანონით დადგენილი წესით მიემართა ქალაქ თბილისის ქონების მართვის სააგენტოსთვის! ვინაიდან „გიორგი ვაშაძე - სტრატეგია აღმაშენებელმა“ ეს მოთხოვნა არ შეასრულა და კარვები მერიის თანხმობის გარეშე მაინც განათავსა მითითებულ ლოკაციებზე (შეკრებებისა და მანიფესტაციების კანონის შესაბამისად), ეს ორგანიზაცია მრავალჯერ იქნა დაჯარიმებული. დღეისათვის, ჯამში, ამ საარჩევნო სუბიექტის მიმართ გამოწერილი ჯარიმების ოდენობა უკვე 115 000 ლარს გადასცდა.

აღნიშნული ფაქტები ნათლად მიუთითებს, რომ ადგილობრივი ხელისუფლების ორგანოები, ერთი და იმავე შეთხვევაში, განსხვავებულად უდგებიან სახელისუფლო და ოპოზიციური პარტიების მოთხოვნებს მათთვის წინასაარჩევნო აგიტაციის წარმართვისათვის საჭირო პირობების შექმნის თაობაზე. აღნიშნულ შემთხვევაში, მუნიციპალურმა ორგანომ თბილისში მიიღო პოლიტიკურად მოტივირებულ გადაწყვეტილება, რომლითაც ოპოზიციურ საარჩევნო სუბიექტს, „გიორგი ვაშაძე - სტრატეგია აღმაშენებელს“, არ მისცა სააგიტაციო კამპანიის სრულფასოვნად წარმართვის შესაძლებლობა, ხოლო შემდეგ დააჯარიმა პარტია კონსტრუქციების უკანონოდ განთავსებისათვის. ბათუმის ანალოგიურ შემთხვევაში კი, ბათუმის მერიამ უკვე მმართველი პარტიის მიმართ თვალი დახუჭა აშკარა კანონდარღვევაზე, როცა „ქართულმა ოცნებამ“ მერიიდან მიღებულ თანხმობამდე რამდენიმე დღით ადრე განათავსა მსუბუქი კონსტრუქციები ქალაქის ტერიტორიაზე, კანონის დარღვევისთვის არ დააჯარიმა მმართველი პარტია, ხოლო „ქართულ ოცნებას“ კონსტრუქციების დადგმაზე ნებართვა მისცა მათი განთავსებიდან 3 დღის შემდეგ.

სააგენტო მასალის ჩამოხვევის/დაზიანების ფაქტები

საანგარიშო პერიოდში კვლავ ფიქსირდება სააგენტო მასალის დაზიანებისა და საარჩევნო სუბიექტის პლაკატებზე სხვა საარჩევნო სუბიექტის პლაკატების გადაკვრის ფაქტები, თუმცა, ადგილობრივი თვითმმართველობის ორგანოები, რომლებსაც, „საქართველოს საარჩევნო კოდექსის“ 93-ე მუხლით, რეაგირება ევალებათ, კვლავაც უმოქმედოდ არიან.

აღსანიშნავია ისიც, რომ საარჩევნო სუბიექტები ხშირად წუხან მათი სააგენტო მასალის დაზიანების, ან მათზე სხვა სუბიექტის პლაკატების გადაკვრის გამო, თუმცა, რეაგირებისთვის ადგილობრივი თვითმმართველობის ორგანოებს, პრაქტიკულად, არ მიმართავენ. „საქართველოს მედია-კლუბის“ მონიტორებთან საუბარში ოპოზიციური პარტიების წარმომადგენლებს ამის მიზეზად მოჰყავთ უნდობლობა ადგილობრივი ხელისუფლების ორგანოების მიმართ. ოპოზიციაში თვლიან, რომ თვითმმართველობის ორგანოებისადმი მიმართვა მათი დროის და რესურსების ფუჭი ხარჯვაა, რადგანაც მერია არანაირ სანქციებს არ გაატარებს კანონის დამრღვევების მიმართ.

პარტიის სააგიტაციო მასალა მის მაგიდაზე. არ გამორიცხავს, რომ ეს იყო პროვოკაცია, თუმცა, ვისი მხრიდან, არ იცის. (იხილეთ ფოტომასალა: <https://bit.ly/3oy9a7i>)

20 ოქტომბერი

ხულოს, შუახევისა და ქედის მუნიციპალიტეტები

„ერთიანი ნაციონალური მოძრაობის“ ცნობით, მათი სააგიტაციო პლაკატები და ბილბორდები დააზიანეს, რაშიც პარტია ხელისუფლებას ადანაშაულებს. პარტიის აჭარის უმაღლესი საბჭოს მაჟორიტარი დეპუტატობის კანდიდატი გია აბულაძე აცხადებს, რომ წინასაარჩევნო სააგიტაციო მასალები დაზიანებულია ხულოს რამდენიმე სოფელში, დაბა შუახევსა და ქედაში. მისი თქმით, ბილბორდები ჩამოხეულია 6 ადგილზე. მაჟორიტარი დეპუტატობის კანდიდატი მოუწოდებს ხელისუფლებას და შესაბამის ორგანოებს, მოახდინონ ფაქტებზე რეაგირება.

18 ოქტომბერი

ფოთის მუნიციპალიტეტი

„გირჩის“ ცნობით, პარტიის მაჟორიტარი დეპუტატობის კანდიდატს, ბორის ყურუას პლაკატები დაუზიანეს და ჩამოხეიეს. ჩამოხეულ ადგილზე კი „პატრიოტთა ალიანსის“ პლაკატებია გადაკრული. ყურუა „საქართველოს მედია კლუბთან“ აცხადებს, რომ რეაგირებისთვის მუნიციპალიტეტის მერიისთვის არ მიუმართავს (იხილეთ ფოტომასალა: <https://bit.ly/37LvxAo>)

18 ოქტომბერი

ბათუმის მუნიციპალიტეტი

ბათუმში, ფიროსმანის ქუჩაზე, „ლელოს“ ბათუმის მაჟორიტარობის კანდიდატის, ირაკლი კუპრაძის პლაკატებზე „ქართული ოცნების“ კანდიდატის, რესან კონცელიძისა და უმაღლესი საბჭოს მაჟორიტარობის კანდიდატის, ტიტე აროშიძის, აგრეთვე, „ჩვენი საქართველო-სოლიდარობის ალიანსის“ პლაკატები გადააკრეს.

პარტიას მუნიციპალიტეტის მერიისთვის რეაგირების მოთხოვნით არ მიუმართავს და მხოლოდ სატელევიზიო განცხადებებით შემოიფარგლა (იხილეთ ფოტომასალა: <https://bit.ly/31MQSpn>; <https://bit.ly/3mrqtFf>)

17 ოქტომბერი

თბილისის მუნიციპალიტეტი

17 ოქტომბერს „ფეისბუქში“ ისნის საარჩევნო ოლქში „ლელოს“ მაჟორიტარობის კანდიდატმა ლანა გალდავამ გაავრცელა ვიდეო, სადაც განაცხადა, რომ ვაზისუბნის დასახლების დასაწყისი, კვაჭანტირაძის ქუჩაზე, მის საარჩევნო პლაკატებზე „ქართული ოცნების“ მაჟორიტარობის კანდიდატის, კახა კახიშვილის პლაკატები გადააკრეს, მაშინ, როდესაც კედელი ცარიელია და იქ გაკვრა შეეძლოთ. მისი განცხადებით, ეს არ არის პირველი შემთხვევა, როდესაც „ლელოს“ სააგიტაციო მასალაზე „ქართული ოცნების“ პლაკატებს აკრავენ.

16-17 ოქტომბერი

თბილისის მუნიციპალიტეტი

„ლელოს“ საარჩევნო შტაბის ინფორმაციით, 16-17 ოქტომბერს გარდაბნის ქუჩაზე მათი პარტიის მაჟორიტარობის კანდიდატის, ფიქრია ჩინრაძის დაუზიანებელ სააგიტაციო მასალებზე საარჩევნო პლაკატები გადააკრა „ქართულმა მარშმა“.

16 ოქტომბერი

ქუთაისის მუნიციპალიტეტი

პოლიტიკური გაერთიანება „ლელოს“ მაჟორიტარი დეპუტატობის კანდიდატის, ანა ნაცვლიშვილის პლაკატები, ქუთაისში ავტოქარხნის დასახლებაში და ჯავახიშვილის ქუჩაზე „ქართული ოცნების“ ქუთაისის მერობის კანდიდატის, იოსებ ხახალაიშვილის პლაკატებით გადაფარეს. (იხ. ფოტომასალა: <https://bit.ly/37swiO1>)

14 ოქტომბერი

გურჯაანის მუნიციპალიტეტი

გურჯაანში პარტია „ლელო საქართველოსთვის“ და სხვა ოპოზიციური პარტიების სააგიტაციო მასალები დააზიანეს. ჩამონეულია მაჟორიტარი დეპუტატობის კანდიდატების პლაკატები. ლელოს კანდიდატის, ეკა ქვლივიძის პლაკატი კი წითელი საღებავით გადაღებეს. ვიდეო: <https://bit.ly/3ozS3Cn>

14 ოქტომბერი

ბათუმის მუნიციპალიტეტი

„ლელოს“ ცნობით, ბათუმში, ბენჯეს დასახლებაში, პარტიის ბათუმის მაჟორიტარობის კანდიდატის, ირაკლი კუპრაძის პლაკატებზე „ერთიანი ნაციონალური მოძრაობის“ კანდიდატის ლევან ვარშალომიძისა და ამავე პარტიის უმაღლესი საბჭოს მაჟორიტარობის კანდიდატის, გიორგი კირთაძის ფოტოები გადააკრეს.

პარტიას მერიისთვის არ მიუმართავს და მხოლოდ სატელევიზიო განცხადებებით შემოიფარგლა (იხილეთ ფოტომასალა: <https://bit.ly/34vFFLq>)

12 ოქტომბერი

ხონის მუნიციპალიტეტი

„სტრატეგია აღმაშენებლის“ ბანერი უცნობმა პირებმა დააზიანეს. ფაქტთან დაკავშირებით პოლიციამ მოკვლევა სსკ 187-ე მუხლის პირველი ნაწილით დაიწყო, რაც სხვისი ნივთის განზრახ დაზიანებას და განადგურებას გულისხმობს. (იხ. ფოტომასალა: <https://bit.ly/3dBWp6V>)

12 ოქტომბერი

თბილისის მუნიციპალიტეტი

საარჩევნო სუბიექტის, „სტრატეგია აღმაშენებელი“ ინფორმაციით, ისანში, მოსკოვის გამზირის N23-ში არსებულ 29-ე საარჩევნო უბანზე „ქართულმა ოცნებამ“ მისი მაჟორიტარი დეპუტატობის კანდიდატის პლაკატი გააკრა, რითაც დაარღვია „საქართველოს საარჩევნო კოდექსის“ 45-ე მუხლის მე-12 პუნქტი (იხილეთ [ფოტომასალა](https://bit.ly/34vFFLq))

10 ოქტომბერი

ქობულეთის მუნიციპალიტეტი

„ჩვენი საქართველო – სოლიდარობის ალიანსის“ ქობულეთის მაჟორიტარობის კანდიდატის, ზვიად კვაჭანტირაძის პლაკატებზე სხვა პარტიების კანდიდატების ფოტოები გადააკრეს.

როგორც „საქართველოს მედია კლუბს“ ზვიად კვაჭანტირაძემ განუცხადა, პარტიას ქობულეთის მუნიციპალიტეტის მერიისთვის არ მიუმართავს, რადგან რეაგირების იმედი არ აქვს. (იხილეთ ფოტომასალა: <https://bit.ly/2J3ZIOc>)

9 ოქტომბერი

ხაშურის მუნიციპალიტეტი

გაერთიანებული ოპოზიციის განცხადებით, ხაშურში მისი მაჟორიტარი დეპუტატობის კანდიდატის, ნატო ჩხეიძის პლაკატების ნაწილი ჩამოხიეს, ნაწილზე კი „ქართული ოცნების“ მაჟორიტარობის კანდიდატის, ზაალ დუგლადის პლაკატები გადააკრეს (იხილეთ ფოტომასალა: <https://bit.ly/2HAiabt>)

8 ოქტომბერი

თელავის მუნიციპალიტეტი

„ევროპული საქართველო“ ცნობით, თელავში პარტიის სააგიტაციო მასალებზე „პატრიოტთა ალიანსმა“ პლაკატები გადააკრა (იხილეთ ვიდეო: <https://bit.ly/35E1zvi>)

8 ოქტომბერი

თბილისის მუნიციპალიტეტი

8 ოქტომბერს ისანში, ბლოკის - „ნაციონალური მოძრაობა - ძალა ერთობაშია“ მაჟორიტარობის კანდიდატის, ხატია დეკანოიძის შტაბის წინ დადგმული ხუთიანი (საარჩევნო ნომერი) [გატეხეს](#). ისნის შტაბში აცხადებენ, რომ გამოძიება დაწყებულია, თუმცა, არანაირი შედეგი არ დამდგარა.

6 ოქტომბერი

მარნეულის მუნიციპალიტეტი

მარნეულში „ქართული ოცნების“ ბანერი დააზიანეს. პარტიის მაჟორიტარი დეპუტატობის კანდიდატი ზაურ დარგალი მომხდარში ოპოზიციას ადანაშაულებს და აცხადებს, რომ მსგავსი ქმედებები პირველი არ არის. დაწყებულია გამოძიება.

4 ოქტომბერი

თბილისის მუნიციპალიტეტი

4 ოქტომბერს, დიდუბე-ჩუღურეთის საარჩევნო ოლქში, ბუნაიძის ქუჩაზე, დამოუკიდებელი კანდიდატის, ანა დოლიძის პლაკატები ჩამოხიეს. დოლიძის შტაბში აცხადებენ, რომ მათი კანდიდატის ჩამოხეული პლაკატების გვერდით „ქართული ოცნების“ კანდიდატის, გია ვოლსკის პლაკატები ხელუხლებელია.

გარდა ამისა, დიდუბე-ჩუღურეთის დამოუკიდებელი მაჟორიტარი დეპუტატობის კანდიდატის შტაბში აცხადებენ, რომ პლაკატების ჩამოხევას, ან მასზე „ქართული ოცნების“ პლაკატების გადაკვრას სისტემატური ხასიათი აქვს (იხილეთ [ფოტომასალა](#)).

4 ოქტომბერი

თბილისის მუნიციპალიტეტი

„ლელოს“ ისინი მაჟორიტარობის კანდიდატმა ლანა გალდავამ [გაავრცელა](#) ინფორმაცია, რომ ისანში, რამდენიმე ადგილას, მის საარჩევნო პლაკატზე „სტრატეგია აღმაშენებლის“ მაჟორიტარობის კანდიდატის, გიორგი ვაშაძის საარჩევნო პლაკატი გადაკრული.

2 ოქტომბერი

ხაშურის მუნიციპალიტეტი

„გაერთიანებული ოპოზიციის“ ინფორმაციით, ხაშურის მუნიციპალიტეტის დაბა სურამში, ლესია უკრაინკას ქუჩაზე, მათი კანდიდატის, ნატო ჩხეიძის სააგიტაციო პლაკატები დააზიანეს.

1 ოქტომბერი

თბილისის მუნიციპალიტეტი

„ლელოს“ სამგორის საარჩევნო შტაბში განაცხადეს, რომ 1 ოქტომბერს ვარკეთილში, სესილია თაყაიშვილისა და ილია სუნიშვილის ქუჩებზე ნახეს, რომ „ჩვენი საქართველო - სოლიდარობის ალიანსმა“ ფიქრია ჩიხრაძის დაუზიანებელ პლაკატებზე გადააკრა ალექსანდრე რიჟამაძის სააგიტაციო მასალა. „ლელოს“ ცნობით, „სოლიდარობის ალიანსში“ თქვეს, რომ მხოლოდ ჩამოხეულ პლაკატებზე გადააკრეს. „ლელოში“ კი ამბობენ, რომ მათი პლაკატები დაზიანებული არ ყოფილა (იხილეთ [ფოტომასალა](#)).

III - ადმინისტრაციული რესურსის გამოყენების ფაქტები

საანგარიშო პერიოდში კვლავ პრობლემად დარჩა ადმინისტრაციული რესურსის, აგრეთვე, თანამდებობრივი ან სამსახურებრივი მდგომარეობის გამოყენების ფაქტები, რაც საქართველოს ორგანული კანონის, „საქართველოს საარჩევნო კოდექსის“ 45-ე, 48-ე და 49-ე მუხლების დარღვევაა. მიუხედავად თავისუფალი და სამართლიანი არჩევნებისთვის უწყებათაშორისი კომისიის 7 ოქტომბრის [რეკომენდაციისა](#), რომ ადგილობრივი ხელისუფლების საჯარო მოსამსახურეებმა „თავი შეიკავონ წინასაარჩევნო აგიტაციაში მონაწილეობისგან, მათ შორის, სოციალური ქსელების გამოყენებით, სამუშაო საათების განმავლობაში ან/და როდესაც ისინი უშუალოდ ასრულებენ სამსახურებრივ ფუნქციებს“, აღნიშნული პრაქტიკა კვლავ გაგრძელდა. „საქართველოს საარჩევნო კოდექსის“ 88-ე მუხლით, ამგვარი დარღვევა იწვევს დაჯარიმებას 2 000 ლარით.

გარდა „საარჩევნო კოდექსით“ დადგენილი მოთხოვნისა, აღნიშნული პირები, ასევე, არღვევენ საქართველოს მთავრობის მიერ მიღებულ დადგენილებას - „საჯარო დაწესებულებაში ეთიკისა და ქცევის ზოგადი წესების განსაზღვრის შესახებ“, რომელშიც მკაფიოდ წერია: „საჯარო მოსამსახურე თავს იკავებს სამსახურებრივი მოვალეობის შესრულებისას კომუნიკაციის საშუალებებით, მათ შორის, სოციალური ქსელების გამოყენებით, ისეთი ქმედებებისაგან, განცხადებებისაგან ან/და სოციალური აქტივობისაგან, რომელიც შესაძლებელია, აღქმულ იქნეს კონკრეტული პოლიტიკური პარტიის ინტერესების გატარებად“.

აღსანიშნავია, რომ საჯარო მოხელეთა დიდი ნაწილი მხოლოდ ფორმალურად იცავს აღნიშნულ მოთხოვნას. ხშირია შემთხვევები, როდესაც ფეისბუქის პირად გვერდზე მმართველი პარტიის მხარდამჭერ ინფორმაციას სამუშაო საათების დაწყებამდე 1-2 წუთით ადრე, ან პირიქით - დასრულებიდან 1-2 წუთის შემდეგ აზიარებენ. ამით, ერთი მხრივ, ფორმალურად იცავენ „საარჩევნო კოდექსით“ დადგენილ მოთხოვნას, თუმცა, არსობრივად არაფერი იცვლება.

„საქართველოს მედია-კლუბმა“ გამოავლინა, აგრეთვე, მმართველი პარტიის მაჟორიტარი დეპუტატობის კანდიდატების მიერ ადმინისტრაციული რესურსის გამოყენების - სახელმწიფო და მუნიციპალური ბიუჯეტით დაფინანსებულ ღონისძიებებში მონაწილეობის ფაქტები.

✚ მაჟორიტარი დეპუტატობის კანდიდატების მონაწილეობა სახელმწიფო და ადგილობრივი ბიუჯეტით დაფინანსებულ ღონისძიებებში

10 ოქტომბერი

ქუთაისის მუნიციპალიტეტი

10 ოქტომბერს ქუთაისის ლადო მესხიშვილის სახელობის სახელმწიფო თეატრში სეზონი გაიხსნა. პრემიერაზე დასწრება მხოლოდ მოსაწვევებით იყო შესაძლებელი. ბილეთები კი არ გაყიდეს. ღონისძიებას ესწრებოდა პარტია „ქართული ოცნების“ მაჟორიტარი დეპუტატობის კანდიდატი ზაზა ლომინაძე. მას ასევე მისცეს ღონისძიებაზე სიტყვით გამოსვლის უფლება.

პოლიტიკური პარტია „ლელოს“ მაჟორიტარი დეპუტატობის კანდიდატი, ამავე ოლქში, ანა ნაცვლიშვილი, რომელსაც დასწრება სურდა, მაგრამ არც მოსაწვევი ჰქონია და ვერც ბილეთი შეიძინა, ამ ფაქტს უთანასწორო საარჩევნო კამპანიასა და ადმინისტრაციული რესურსის გამოყენებად მიიჩნევს. რაც შეეხება იმას, თუ რატომ არ გაიყიდა ბილეთები, თეატრის ადმინისტრაციამ ანა ნაცვლიშვილს ოფიციალური წერილი მისწერეს, სადაც განმარტეს, რომ „აღნიშნულ დღეს თეატრში ჩამოდიოდა პრეზიდენტი და ოფიცოზი“.

5 ოქტომბერი

თბილისის მუნიციპალიტეტი

5 ოქტომბერს თბილისის საკრებულოს სახელდებისა და სიმბოლიკის კომისიის ინიციატივით, კრწანისის რაიონში პუბლიცისტის, ექიმის, საზოგადო მოღვაწის, წერა-კითხვის გამავრცელებელი საზოგადოების წევრის, გრიგოლ ვოლსკის გარდაცვალების 111 წლისთავთან დაკავშირებით, მისი სახელობის ქუჩა გაიხსნა. გავრცელებულ ვიდეოკადრებში [ჩანს](#), რომ ქუჩის მიმართულების აღმნიშვნელ ტრაფარეტს დიდუბე-ჩუღურეთის მაჟორიტარი დეპუტატობის კანდიდატი გიორგი ვოლსკი ხსნის. მასთან ერთად, საკრებულოს მიერ დაფინანსებულ ღონისძიებას მმართველი პარტიის კიდევ ერთი მაჟორიტარობის კანდიდატი მთაწმინდა-კრწანისის ოლქში, ბექა ოდიშარიაც ესწრებოდა. ინფორმაციას თავად თბილისის საკრებულო [ავრცელებს](#).

29 სექტემბერი

წყალტუბოს მუნიციპალიტეტი

29 სექტემბერს, წყალტუბოს მერიის მიერ ორგანიზებულ ღონისძიებაზე დააჯილდოვეს წყალტუბოს საპატიო მოქალაქეები. ღონისძიებას "ქართული ოცნების" მაჟორიტარი დეპუტატობის კანდიდატი გივი ჭიჭინაძე დაესწრო და საპატიო მოქალაქეებს საჩუქრები გადასცა.

ადგილობრივი თვითმმართველობის ორგანოების კუმენილი საბრუნველყოფის საშუალებების გამოყენების ფაქტები

14 ოქტომბერი

ხელვაჩაურის მუნიციპალიტეტი

„ქართული ოცნების“ ახალგაზრდული ორგანიზაციის ხელმძღვანელმა მანუჩარ რიჟვაძემ განაცხადა, რომ სოფელ ჭარნალში „ერთიანი ნაციონალური მოძრაობის“ პარტიულ შეკრებაზე პარტიის წევრები აჭარის უმაღლესი საბჭოს ბალანსზე მყოფი ავტომანქანით მივიდნენ. მან ამის დამადასტურებლად ფოტომასალაც გაავრცელა.

„ნაციონალურ მოძრაობაში“ აღნიშნული უარყვეს და თქვეს, რომ აჭარის უმაღლესი საბჭოს დეპუტატის, ელგუჯა ბაგრატიონის მძღოლმა სოფელ ჭარნალში ხელოსანს მიაკითხა. (იხილეთ ფოტო: <https://bit.ly/34uxDm1>)

9 ოქტომბერი

„ერთიანმა ნაციონალურმა მოძრაობამ“ „ქართული ოცნება“ ადმინისტრაციული რესურსის გამოყენებაში დაადანაშაულა. პარტიის ინფორმაციით, აჭარის მთავრობის თავმჯდომარის, თორნიკე რიჟვაძის ბიძაშვილი მანუჩარ რიჟვაძე, რომელიც „ქართული ოცნების“ ხელვაჩაურის ახალგაზრდული ორგანიზაციის ხელმძღვანელია, წინასაარჩევნო აქტივობების ჩასატარებლად ხელვაჩაურის მუნიციპალიტეტის მერის მოადგილის, არჩილ ბარამიძის ავტომობილით გადაადგილდებოდა. (იხილეთ ფოტოები: <https://bit.ly/3msLEXu> . ხელვაჩაურის მერიამ საპასუხო კომენტარი არ გააკეთეს.

მუნიციპალიტეტების საჯარო მოხელეებისა და მოსამსახურეების facebook-ის გვერდების გამოყენების ფაქტები მმართველი პარტიისა და მისი კანდიდატების სასარგებლოდ

(საქართველოს ორგანული კანონის, „საქართველოს საარჩევნო კოდექსის“ 48-ე მუხლის პირველი ნაწილის „გ“ ქვეპუნქტისა და 49-ე მუხლის პირველი ნაწილის „ა“ ქვეპუნქტის დარღვევა)

1. ხულოს მუნიციპალიტეტის მერის წარმომადგენელმა დეკანაშვილების ადმინისტრაციულ ერთეულში, ვაჟა თავართქილაძემ 1 ოქტომბერს, სამუშაო საათებში „ქართული ოცნების“ მაჟორიტარობის კანდიდატის, ანზორ ბოლქვაძის ფეისბუქ-გვერდიდან ქართული ოცნების სააგიტაციო მასალა [გააზიარა](#), ამავე დღეს ამავე გვერდიდან [გააზიარა](#) რუსთავი 2-ის საზოგადოებრივი აზრის კვლევის შედეგები, რომლის მიხედვითაც, საარჩევნო კანდიდატებს შორის ხულოს, შუახევის და ქედის ოლქში „ქართული ოცნების“ კანდიდატი ლიდერობს.
2. ჩხოროწყუს მუნიციპალიტეტის დაბა ჩხოროწყუს ადმინისტრაციული ერთეულში მერის წარმომადგენელმა ნონა ჰაპავამ ჯერ [14 ოქტომბერს](#), შემდეგ კი [15 ოქტომბერს](#) სამუშაო საათებში გააზიარა „ქართული ოცნების“ კანდიდატის, ალექსანდრე მოწერელიას ფეისბუქ-გვერდზე გამოქვეყნებული ინფორმაცია.
3. ჩხოროწყუს მუნიციპალიტეტის თაიას ადმინისტრაციული ერთეულში მერის წარმომადგენელ მამამზე საჯაიას 23 ოქტომბრიდან საკუთარი ფეისბუქის გვერდის პროფილის ფოტოდ „ქართული ოცნების“ ლოგო უყენია.

4. ვანის მუნიციპალიტეტში საფინანსო-საბიუჯეტო სამსახურის უფროსმა, ივანე მამფორიამ სამუშაო საათებში ფეისბუქის პირად გვერდზე 25 სექტემბერს [გააზიარა](#) „ქართული ოცნების“ მაჟორიტარი დეპუტატობის კანდიდატის, გივი ჭიჭინაძის სააგიტაციო მასალა.
5. ტყიბულის მუნიციპალიტეტში მერიის განათლების, კულტურის, სპორტის, ახალგაზრდობისა და ტურიზმის განვითარების სამსახურის უფროსმა, ალექო ბიბილაშვილმა 12 ოქტომბერს სამუშაო საათებში ფეისბუქის პირად გვერდზე [გააზიარა](#) „ქართული ოცნების“ მაჟორიტარი დეპუტატობის კანდიდატის, ბეჟან წაქაძის სააგიტაციო მასალა.
6. თერჯოლის მუნიციპალიტეტში სამხედრო აღრიცხვის, გაწვევისა და მობილიზაციის სამსახურის უფროსმა, ჰაატა გოგიაშვილმა 12 ოქტომბერს სამუშაო საათებში ფეისბუქის პირად გვერდზე [გააზიარა](#) თერჯოლის მუნიციპალიტეტში „ქართული ოცნების“ მერობის კანდიდატის, ლაშა გოგიაშვილის სააგიტაციო მასალა.
7. ხარაგაულის მუნიციპალიტეტში მერის თანაშემწემ გენდერული თანასწორობის საკითხებში, ინგა ბერაძემ 8 ოქტომბერს, 9 ოქტომბერს და 29 ოქტომბერს სამუშაო საათებში ფეისბუქის პირად გვერდზე [გააზიარა](#) ხარაგაულის მუნიციპალიტეტში „ქართული ოცნების“ მერობის კანდიდატის, კობა ლურსმანაშვილისა და „ქართული ოცნების“ მაჟორიტარი დეპუტატობის კანდიდატის, ჰაატა კვიციანიძის სააგიტაციო მასალები.
8. ამბროლაურის მუნიციპალიტეტში „მოსწავლე-ახალგაზრდობის ცენტრის“ დირექტორმა, გურამ გორდუზიანმა 1, 5 და 9 ოქტომბერს სამუშაო საათებში ფეისბუქის პირად გვერდზე [გააზიარა](#) „ქართული ოცნების“ მაჟორიტარი დეპუტატობის კანდიდატის გოჩა ენუქიძის სააგიტაციო მასალა.
9. ონის მუნიციპალიტეტში სივრცითი მოწყობისა და ინფრასტრუქტურის სამსახურის უფროსმა, თეიმურაზ გრძელიშვილმა 9 ოქტომბერს სამუშაო საათებში ფეისბუქის პირად გვერდზე [გააზიარა](#) „ქართული ოცნების“ ფეისბუქ გვერდის პოსტი, სადაც პარტიის სამუშაო პროცესია ასახული.
10. სამტრედიის მუნიციპალიტეტში მერის წარმომადგენელმა სოფიკო კიკაჩიშვილმა 27 ოქტომბერს „ერთიანი ნაციონალური მოძრაობის“ წყალტუბოს, ვანის, ხონის და სამტრედიის მაჟორიტარ დეპუტატს ნანუკა ჟორჟოლიანს პირად ფეისბუქ-გვერდზე შეურაცხმყოფელი [კომენტარი](#) დაუწერა.
11. ყვარლის მუნიციპალიტეტის მერიის ზედამხედველობის სამსახურის უფროსი [ვალერი გოქსაძე](#) ფეისბუქის პირად გვერდზე ინტენსიურად აზიარებს „ქართული ოცნებისა“ და მისი კანდიდატის სააგიტაციო მასალებს.
12. ზუგდიდის მუნიციპალიტეტის სოფელ ტყაიას ადმინისტრაციული ერთეულის ფეისბუქ გვერდი, მსგავსად სექტემბრის თვისა, [ისევ აგრძელებს](#) „ქართული ოცნების“ ზუგდიდის მაჟორიტარი დეპუტატობის კანდიდატის, ირაკლი ჩიქოვანის შეხვედრებისა და საარჩევნო ღონისძიებებთან დაკავშირებული ინფორმაციების განთავსებას.

„საქართველოს მედია კლუბისათვის“ არ არის ცნობილი მუნიციპალიტეტებში დასაქმებულ საჯარო მოხელეთა და მოსამსახურეთა სრული სია, შესაბამისად, ორგანიზაციამ შეძლო მხოლოდ იმ ადგილობრივ მოხელეთა და მოსამსახურეთა ფეისბუქის პირადი გვერდების მონიტორინგი, რომელზეც მას ხელის მიუწვდებოდა. ამიტომაც, ანგარიშში ასახული დარღვევების რაოდენობა, დიდი ალბათობით, სრულად არ ასახავს მუნიციპალიტეტების საჯარო მოხელეებისა და მოსამსახურეების მხრიდან კონკრეტული პარტიის მხარადასაჭერად facebook-ის გვერდების გამოყენების ფაქტების რაოდენობას.

✚ საჯარო სკოლებისა და საბავშვო ბაღების თანამშრომელთა მონაწილეობა საარჩევნო კამპანიაში

14 ოქტომბერი

ზუგდიდის მუნიციპალიტეტი

„ევროპული საქართველოს“ წევრმა, ბესიკ დონაძემ და ბაჩანა შენგელიამ „ქართული ოცნების“ ზუგდიდის მაჟორიტარობის კანდიდატი, ირაკლი ჩიქოვანი ადმინისტრაციული რესურსის გამოყენებაში დაადანაშაულეს. მათი თქმით, ჩიქოვანის საარჩევნო კლიპში პედაგოგების მონაწილეობა და მათ სტატუსზე ხაზგასმა „საარჩევნო კოდექსის“ დარღვევაა.

პარტიამ რეაგირებისთვის მიმართა საოლქო საარჩევნო კომისიას, თუმცა კომისიის პასუხით ირკვევა, რომ მათ დარღვევა ვერ დაინახეს. „ქართული ოცნების“ მაჟორიტარი დეპუტატობის კანდიდატის, ირაკლი ჩიქოვანის ახსნა-განმარტებით, მან კლიპის გადაღებაში ნამდვილად ჩართო პედაგოგები, თუმცა, მიუთითა, რომ ის გადაღებულია არასამუშაო საათებში.

„ევროპულ საქართველოში“ საოლქო საარჩევნო კომისიის გადაწყვეტილებას არ ეთანხმებიან და მის გასაჩივრებას ჯერ ცესკოში, შემდეგ კი სასამართლოში გეგმავენ. (იხილეთ მასალა: <https://bit.ly/37HmTmp>)

5 ოქტომბერი

ბოლნისის მუნიციპალიტეტი

ბოლნისში „ქართული ოცნების“ მაჟორიტარი დეპუტატობის კანდიდატთან გოგი მეშველიანთან შეხვედრისას მასწავლებლები სასწავლო პროცესს მოსწყვიტეს და ღონისძიებაზე წაიყვანეს. თავად პედაგოგებმა განაცხადეს, რომ ეს არ ყოფილა საარჩევნო შეხვედრა და მეშველიანმა მათ მასწავლებლის დღე მიულოცა, თუმცა, შეხვედრა სამუშაო საათებში ჩატარდა.

IV - ამომრჩევლის სავარაუდო მოსყიდვის ფაქტები

28 ოქტომბერი

ახალციხის, ადიგენის, ბორჯომისა და ასპინძის მუნიციპალიტეტები

ინტერნეტგამოცემამ „სამხრეთის კარიბჭე“ გაავრცელა ვიდეოკადრები, სადაც ჩანს, რომ „ქართული ოცნების“ მაჟორიტარობის კანდიდატმა ანტონ ობოლაშვილმა წინასაარჩევნოდ სკოლის დირექტორები და საგანმანათლებლო რესურსცენტრების ხელმძღვანელები, აგრეთვე, საუბნო საარჩევნო კომისიის თავმჯდომარეები რესტორანში მიიწვია. წვეულებაზე, ასევე, იმყოფებოდნენ სამცხე-ჯავახეთის მხარის რწმუნებული ბესიკ ამირანაშვილი, მისი მოადგილე შალვა ბერძენიშვილი, ასევე, ადიგენის, ასპინძის, ბორჯომისა და ახალციხის მერები. ჟურნალისტების გამოჩენის შემდეგ რესტორანი ჯერ პოლიტიკოსებმა დატოვეს, გარკვეული ხნის შემდეგ კი - [პედაგოგებმა, სკოლის დირექტორებმა და რესურსცენტრის ხელმძღვანელმა იზოლდა ლომიძემ](#). მათ გარეთ რამოდენიმე მიკროავტობუსი და მსუბუქი მანქანა ელოდებოდათ. ჟურნალისტმა ბორჯომის მერის მოვალეობის შემსრულებლის, დავით ზაალიშვილის ჩაწერა სცადა, რის შემდეგაც ადიგენის მერმა, ზაქარია ენდელაძემ მას ტელეფონი წაართვა და [ძალის გამოყენებით](#) სცადა, შენობიდან გაეყვანა.

28 ოქტომბერი

ბორჯომის მუნიციპალიტეტი

„ნაციონალური მოძრაობის“ ბორჯომის ორგანიზაციის წევრის, ბაკურ გელაშვილის განცხადებით, ბორჯომის მუნიციპალიტეტის სოფელ ყვიბისში, წინააარჩევნო კამპანიის ჩატარების დროს, სოფლის ერთ-ერთმა მცხოვრებმა პენსიონერმა ქალბატონმა უთხრა, რომ მას, ხმის სანაცვლოდ, „ქართულმა ოცნებამ“ 120 ლარი მისცა. გელაშვილი აღნიშნულმა „საქართველოს მედია-კლუბის“ მონიტორთან საუბარში ქალბატონის იდენტიფიცირებაზე იმ მიზეზით თქვა უარი, რომ „გვარ-სახელის გამჟღავნების შემდეგ ამ ქალბატონს პრობლემებს შეუქმნიან“. გელაშვილი, ასევე, აცხადებს, რომ „ქართული ოცნების“ აგიტატორები მოსახლეობას არწმუნებენ, რომ სოციალურ დახმარებებს და ოპერაციებს „ქართული ოცნება“ უფინანსებთ.

ოზურგეთის მუნიციპალიტეტი

28 ოქტომბერი

„ევროპული საქართველოს“ გურიის მაჟორიტარი დეპუტატობის კანდიდატი ნათუნა გოგორიშვილი ხელისუფლების მხრიდან ამომრჩევლის მოსყიდვაზე საუბრობს. გოგორიშვილის თქმით, 27 ოქტომბერს, ქართული ოცნების შტაბები და სხვადასხვა ობიექტები სურსათ-სანოვაგით სავსე ტომრებით [გაივსო](#), რომელთაც ხელისუფლება მოსახლეობას დაურიგებს. ოზურგეთის სარიტუალო დარბაზის შენობაში, ტომრებით იქნა შეტანილი სურსათ-სანოვაგე. სარიტუალო სახლის დირექტორმა, ნათია ღლონტმა განაცხადა, რომ ეს პროდუქტი საბავშვო ბაღებისთვის იყო განსაზღვრული. როგორც პარტიაში ამბობენ, ისინი დაუკავშირდნენ ბაღების გაერთიანების ხელმძღვანელს, მაკა ჭყონიას, რომელმაც განაცხადა, რომ არანაირ ბაღებსა და ბაღების სააგენტოს ამ პროდუქტთან შეხება არ აქვთ. პარტიის აზრით, ეს არის პირდაპირი მოსყიდვა და სისხლის სამართლის დანაშაული.

22 ოქტომბერი

თბილისი

22 ოქტომბერს „თავისუფალი საქართველოს“ მაჟორიტარი დეპუტატობის კანდიდატმა დიდუბე-ჩუღურეთის რაიონში, თენგიზ ომანიძემ, „იაფი მედიკამენტების პროგრამის“ ფარგლებში, ზაირა ლურსმანაშვილსა და მის შშმ მეუღლეს მედიკამენტები გადასცა. ამის შესახებ ინფორმაციას „თავისუფალი საქართველოს“ პრესსამსახური ავრცელებს.

15 ოქტომბერი

თბილისი

მანამდე, „თავისუფალი საქართველოს“ ლიდერმა კახა კუკავამ განაცხადა, რომ „იაფი მედიკამენტების პროგრამის“ ფარგლებში თბილისში, უზნაძის ქუჩა 105-ში, პარტიის პირველი აფთიაქი გაიხსნა. კუკავას განცხადებით, თბილისელებსა და მის სტუმრებს, ამიერიდან, მედიკამენტების შეძენა მათთვის შეღავათიან ფასებში შეეძლება.

მისივე თქმით, „თავისუფალი საქართველო“ ნებისმიერ დაინტერესებულ მეწარმეს სთავაზობს ანალოგიური სახის თანამშრომლობას, რომ მეწარმე-სუბიექტებმა, დაინტერესების შემთხვევაში, მისგან შესაბამისი საკონსულტაციო და სამართლებრივი დახმარება სრულიად უსასყიდლოდ მიიღონ, რომ მათ იაფი მედიკამენტები თურქეთში შეიძინონ.

„თავისუფალი საქართველო“, ასევე ჰპირდება მოსახლეობას, რომ მათი მხარდაჭერის შემთხვევაში, 1 იანვრამდე საქართველოს ყველა რეგიონსა და მუნიციპალიტეტში იაფი მედიკამენტების სააფთიაქო ქსელი სრულად ამოქმედდება.

ანალოგიური ფაქტი წინა საანგარიშო პერიოდშიც დაფიქსირდა, რის შემდეგაც საქართველოს მედია-კლუბი დაუკავშირდა პარტიის თავმჯდომარეს, კახა კუკავას, რომელმაც განაცხადა, რომ მისი პოლიტიკური ორგანიზაცია მხოლოდ შუამავალია მოსახლეობასა და იმ კერძო კომპანიას შორის, რომელსაც თურქეთიდან იაფად წამლები ჩამოაქვს.

ამ განმარტების მიუხედავად, მიგვაჩნია, რომ წინასაარჩევნო პერიოდში საარჩევნო სუბიექტების, საარჩევნო სუბიექტების კანდიდატებისა და მათი წარმომადგენლების მიერ პირადად ან ვინმეს მეშვეობით საქართველოს მოქალაქეებისათვის ფულადი სახსრების, საჩუქრებისა და სხვა მატერიალურ ფასეულობათა გადაცემა (მიუხედავად მათი ღირებულებისა) საქართველოს საარჩევნო კოდექსის 47-ე მუხლის პირველი „ა“ პუნქტის პირდაპირი დარღვევაა.

27 ოქტომბერი

სამტრედიის მუნიციპალიტეტი

სამტრედიის მუნიციპალიტეტში „ერთიანი ნაციონალური მოძრაობის“ ინფორმაციით, „ქართულ ოცნებას“ საიდუმლო შტაბი აქვს, რომელიც „წითელი ჯვრის“ ოფისში ფუნქციონირებს. [ფარულ კადრებში](#) ჩანს, რომ შტაბებში „ქართული ოცნების“ მაღალჩინოსნები და პარტიასთან დაახლოებული პირები იმყოფებიან. პარტიის ინფორმაციით, შტაბიდან სურსათსა და ფულს საარჩევნოდ ხმების მოსასყიდად ანაწილებენ.

5 ოქტომბერი

ლაგოდეხის მუნიციპალიტეტი

მედიასაშუალებამ - www.kvira.ge გაავრცელა [ფოტო](#) და ინფორმაცია, რომელშიც აღნიშნულია, რომ ლაგოდეხის მუნიციპალიტეტის სოფელ ლელიანში „ნაციონალური მოძრაობა“ მოსახლეობას მეორად ტანსაცმელს ურიგებდა.

V - ძალადობის, გენოციდისა და მუქარის ფაქტები

✚ ძალადობის ფაქტები

29 ოქტომბერი

გარდაბნის მუნიციპალიტეტი

„ლეიბორისტული პარტიის“ ლიდერის, შალვა ნათელაშვილის ინფორმაციით, მისი პარტიის ახალგაზრდული ფრთის წევრებს გარდაბნის მუნიციპალიტეტის სოფელ მარტყოფში თავს დაესხნენ და სააგიტაციო მასალა გაუნადგურეს. იდენტიფიცირებულია თავდამსხმელთა ავტომანქანების სახელმწიფო ნომრები: KA-757-IA; LV-070-VL. ლეიბორისტულმა პარტიამ რეაგირებისთვის პოლიციას მიმართა.

29 ოქტომბერი

მცხეთის მუნიციპალიტეტი

პარტია „სამართლიანობისთვის“ ლიდერის, ეკა ბესელიას განცხადებით, მცხეთის ცენტრში, ქართული ოცნების მაჟორიტარობის კანდიდატის, შალვა კერესელიძის წარმომადგენლები მისი შტაბის წევრებს პლაკატების გაკვრისას თავს დაესხნენ. დაფიქსირებულია პლაკატების გადაკვრისა და ჩამოხვევის ფაქტიც. იდენტიფიცირებულია თავდამსხმელების ავტომობილის სახელმწიფო ნომერი: PF-497-FP (ფოტოები: <https://bit.ly/3mw86iz>; ვიდეო 1: <https://bit.ly/384C3T5>; ვიდეო 2: <https://bit.ly/2HIVaHe>; ვიდეო 3: <https://bit.ly/3mydMJ0>)

28 ოქტომბერი

ბოლნისის მუნიციპალიტეტი

ბოლნისში ნაციონალური მოძრაობის წევრს, ისმაილ გაჯიევს ფიზიკურად გაუსწორდნენ. ოჯახის წევრები ვარაუდობენ, რომ თავდასხმა პოლიტიკურ ნიადაგზე მოხდა და მონაწილე პირები „ქართული ოცნების“ წევრები იყვნენ. მათი განცხადებით, ერთ-ერთი პირი, ილჰამ იბრაგიმოვი იყო. საქმე სსკ 126-ე მუხლით აღიძრა (ძალადობა).

20 ოქტომბერი

ადიგენის მუნიციპალიტეტი

„თავისუფალი საქართველოს“ მაჟორიტარი დეპუტატობის კანდიდატის, გოდერძი კუბლაშვილის განცხადებით სოფელ ბოლაჯურში „ქართული ოცნების“ მხარდამჭერმა მას სიტყვიერი შეურაცხყოფა მიაყენა. დაპირისპირებაში მერის წარმომადგენელი ჯემალ ჩხიტუნძეც მონაწილეობდა. თავისუფალმა საქართველომ რეაგირებისთვის შს-ს მიმართა.

19 ოქტომბერი

ბოლნისის მუნიციპალიტეტი

გაერთიანებული ოპოზიციის ახალგაზრდული ფრთის წევრს, ლევან მიქელაძეს ბოლნისი-მარნეულის გზაზე თავს დაესხნენ. მიქელაძის განცხადებით, მის მანქანას ორი მანქანით 8-10 პირი აედევნა და ჯერ მისი შეჩერება სცადეს, შემდეგ კი მისი მიმართულებით დაახლოებით ექვსჯერ გაისროლეს. ფაქტთან დაკავშირებით მიმდინარეობს გამოძიება.

ბოლნისში „ერთიანი ნაციონალური მოძრაობისა“ და კახა ოქრიაშვილის მხარდამჭერ რამაზ ნურმამედოვს წინასაარჩევნო შეხვედრისას „ქართული ოცნების“ აქტივისტმა და საუბნო კომისიის თავმჯდომარემ მამედ შამილოვმა სიტყვიერი შეურაცხყოფა მიაყენა. შეხვედრის შემდგომ კი სახლიდან გამოიყვანა და ფიზიკურად გაუსწორდა. კახა ოქრიაშვილის შტაბის უფროსის, ლალი ციხელაშვილის განცხადებით, წინასაარჩევნო შეხვედრამდე „ქართული ოცნების“ წარმომადგენლები სოფლის მოსახლეობას აფრთხილებდნენ, რომ ოქრიაშვილთან შეხვედრას არ დასწრებოდნენ.

16 ოქტომბერი

გორის მუნიციპალიტეტი

„ევროპული საქართველოს“ ინფორმაციით, გორის მუნიციპალიტეტის სოფელ მეჯვრისხევში პარტიის წარმომადგენლებს თავს დაესხნენ. თავდასხმა მათ სააგიტაციო მასალებზე მმართველი გუნდის კანდიდატის - გიორგი ხოჯევანიშვილის პლაკატების გადაკვრის ფაქტს მოჰყვა. პარტიის მაჟორიტარი დეპუტატობის კანდიდატის, ლევან თარხნიშვილის განცხადებით, მისი გუნდის წევრებს თავს მაშინ

დაესხნენ, როდესაც ისინი ამ ფაქტის ამსახველ ვიდეომასალას იღებდნენ. მომხდარზე გამოძიება 126-ე მუხლით დაიწყო. (იხილეთ ვიდეომასალა: <https://bit.ly/31Kovb9>.)

12 ოქტომბერი

გარდაბნის მუნიციპალიტეტი

„ევროპული საქართველოს“ მიერ მოწოდებული ინფორმაციით, მათი პარტიის წევრს, ოქტაი სკანდაროვას სოფელ ყარაჯალარში თავს უცნობი პირები დაესხნენ და ფიზიკურად გაუსწორდნენ. თავდაპირველად დაზარალებულმა თქვა, რომ თავდამსხმელები „ქართული ოცნების“ აქტივისტები იყვნენ, თუმცა, პოლიციაში გამოკითხვის შემდეგ მან განაცხადა, რომ „ქართული ოცნება“ თავდასხმასთან კავშირში არ არის.

12 ოქტომბერი

ქობულეთის მუნიციპალიტეტი

ქობულეთში „ლელოს“ აქტივისტებს, სააგიტაციო მასალების დარიგების დროს, ფიზიკურად გაუსწორდნენ. პარტია მომხდარში „ქართულ ოცნებას“ ადანაშაულებს. „ლელოს“ ბათუმის მაჟორიტარი დეპუტატობის კანდიდატის, ირაკლი კუპრაძის თქმით, „ქართული ოცნება“ წინასაარჩევნოდ ძალადობრივ მეთოდებს იყენებს, რაც მათი მხრიდან „ლელოს“ წევრებზე თავდასხმაში გამოიხატა.

„ფიზიკური ანგარიშსწორება სცადეს „ლელოს“ აქტივისტებზე და არ მისცეს უფლება, საზოგადოებრივ სივრცეში - ქობულეთის საკოლმეურნეო ბაზარში ბუკლეტები დაერიგებინათ. ერთსაათიანი ხმაურიანი დაპირისპირების განმავლობაში საპატრულო პოლიცია არც კი გამოჩენილა“, - განუცხადა „საქართველოს მედია-კლუბის“ მონიტორს კუპრაძეს.

11-12 ოქტომბერი

თბილისის მუნიციპალიტეტი

„ერთიანი ნაციონალური მოძრაობის“ სამგორის მაჟორიტარი დეპუტატობის კანდიდატის, ლევან ხაბეიშვილის შტაბის წევრს, ლევან ქართველიშვილს ორმა უცნობმა პირმა სცემა, რადგან ის მხარს უჭერდა „ნაციონალურ მოძრაობას“ და პარტიული მაისური ეცვა. ქართველიშვილის ინფორმაციით, კვირას, გვიან ღამით, ბახტრიონის მიმდებარე ტერიტორიაზე 2 ადამიანი დაესხა თავს. როგორც ის ამბობს, მას შემდეგ, რაც თავდამსხმელებმა 5-ნომრიანი მაისური დაინახეს, აგრესიულები განდნენ, დაუწყეს კითხვების დასმა, თუ როგორ შეეძლო ენმ-ის მხარდაჭერა არჩევნებში და ფიზიკურ და სიტყვიერ შეურაცხყოფაზე გადავიდნენ. ფოტოები ლევან ქართველიშვილმა ფეისბუქზე [გაავრცელა](#).

როგორც პარტიის შტაბში აცხადებენ, გამოძიება დაწყებულია, იმ დღესვე გამოიკითხა ქართველიშვილი, თუმცა, შემდეგ დაზარალებულს არავინ შეხმინებია.

გენოლისა და მუქარის ფაქტები

28 ოქტომბერი

ჩოხატაურის მუნიციპალიტეტი

„ევროპული საქართველოს“ მაჟორიტარი დეპუტატობის კანდიდატის, ხათუნა გოგორიშვილის ინფორმაციით, ჩოხატაურის მუნიციპალიტეტში სოფელ ამბღლების სკოლის დირექტორი ლალი

ყაჭიშვილი ამავე სკოლის დამლაგებელს დარეჯან აბუსერიძეს, რომელიც 2020 წლის საპარლამენტო არჩევნებზე დამკვირვებელი უნდა ყოფილიყო არასამთავრობო ორგანიზაციიდან „მოდრაობა თავისუფალი საქართველოსთვის“, დაემუქრა, რომ, თუ დამკვირვებლად დარჩებოდა, სამსახურს დაატოვებინებდა. ამის შემდეგ დარეჯან აბუსერიძემ უარი თქვა დამკვირვებლობაზე.

25 ოქტომბერი

რუსთავის მუნიციპალიტეტი

რუსთავის მაჟორიტარობის დამოუკიდებელი კანდიდატის, გელა ნაკაშიძის სააგიტაციო მანქანის უცნობმა პირებმა დააზიანეს. ნაკაშიძე მომხდარში „ქართულ ოცნებას“ ადანაშაულებს და აცხადებს, რომ დაზიანება და მანქანიდან საფულის მოპარვა „ქართული ოცნების“ ოფისთან გამართულ პერფორმანსს მოჰყვა.

ქუთაისის მუნიციპალიტეტი

23 ოქტომბერი

ქუთაისის მუნიციპალიტეტში, თაბუკაშვილის ქუჩაზე პოლიტიკური გაერთიანება „ევროპული საქართველოს“ წევრის ავტომობილი [დააზიანეს](#). პარტიაში მომხდარს პოლიტიკურ აქტივობას უკავშირებენ. ფაქტთან დაკავშირებით პოლიციამ მოკვლევა სსკ 239-ე მუხლით დაიწყო, რაც საზოგადოებრივი წესრიგის დარღვევას გულისხმობს.

21 ოქტომბერი

ოზურგეთის მუნიციპალიტეტი

პოლიტიკური გაერთიანება „ევროპული საქართველოს“ გურიის მაჟორიტარი დეპუტატობის კანდიდატმა, ხათუნა გოგორიშვილმა საკუთარ პირად გვერდზე გაავრცელა [ინფორმაცია](#) საარჩევნო კამპანიის დროს თვალთვალის შესახებ. როგორც გოგორიშვილი ამბობს, ბოლო ერთი თვის განმავლობაში საარჩევნო შეხვედრებისას, სხვადასხვა პირები უთვალთვალევენ და ფოტოებს უღებენ. 21 ოქტომბერს ოზურგეთის რაიონის სოფელ ბახვში, ორი პოლიციელი მალულად აკვირდებოდა საარჩევნო კამპანიას და უღებდა ფოტოებს. კანდიდატის განცხადებით, ფოტომასალას იყენებენ ხალხის დაშინებასა და დამანტაჟებისთვის.

19 ოქტომბერი

თერჯოლის მუნიციპალიტეტი

სოციალურ ქსელში გავრცელდა [ვიდეო](#), სადაც, „ქართული ოცნების“ მტკიცებით, „ნაციონალური მოძრაობის“ წევრი შშმ პირს აიძულებდა, „ქართული ოცნების“ მაისური და პლაკატები დაეხია. ჩანაწერი „ქართული ოცნების“ რეგიონული სამსახურის უფროსმა, დიმიტრი სამხარაძემ გაავრცელა.

19 ოქტომბერი

მარნეულის მუნიციპალიტეტი

მარნეულის მუნიციპალიტეტის სოფელ ყიზილაჯლოს N89-ე უბნის კომისიის წევრს, ვალენ მუსტაფაევს თანამდებობის დატოვება განსხვავებული პოზიციის გამო აიძულეს. ვალენ მუსტაფაევის თქმით, მან განცხადება იძულებით დაწერა, თუმცა, მეორე დღეს საოლქო საარჩევნო კომისიიდან განცხადების უკან გამოტანა დააპირა, მაგრამ შენობაში არ შეუშვეს.

18 ოქტომბერი

თბილისის მუნიციპალიტეტი

18 ოქტომბერს საარჩევნო ბლოკის - „ერთიანი ნაციონალური მოძრაობა - ძალა ერთობაშია“ ისნის მაჟორიტარი დეპუტატობის კანდიდატმა ხატია დეკანოიძემ განაცხადა, რომ ღამის 03:15 საათზე ქუთეჯან დედოფლის №13-ში მდებარე შტაბში უკანონოდ შეიჭრნენ. დეკანოიძემ შუადამისას ოფისში შეჭრაში სახელმწიფო უსაფრთხოების სამსახური (სუს-ი) დაადანაშაულა და სავარაუდო მიზეზად შტაბში მოსასმენი აპარატურის დაყენება დაასახელა. მისი თქმით, სუს-ი წინასაარჩევნოდ ოპონენტების დაშინებასა და მათი მუშაობის შესახებ ინფორმაციის მიღებას ამ გზებით ცდილობს

დეკანოიძე ამბობს, რომ გვიან ღამით, მაშინ, როცა მისი შტაბის წევრები საარჩევნო ღონისძიებას გეგმავდნენ, მესამე სართულზე, სადაც მისი კაბინეტია, ხმაური გაიგეს, თუმცა, იქ აღარავინ დახვდათ. დეკანოიძე ამბობს, რომ ოთახში, სავარაუდოდ, ფანჯრიდან შევიდნენ, სკამებზე და სახურავზე შეინიშნება ნაფეხურები. მისივე თქმით, იმ დროისათვის შტაბში ელექტროენერგიაც გაითიშა. დეკანოიძე ვარაუდობს, რომ - განგებ.

ფაქტზე გამოძიება დაწყებულია, თუმცა, შედეგი არ დამდგარა. როგორც ხატია დეკანოიძემ აღნიშნა, საპატრულო პოლიცია მომხდარისთანავე გამოიძახეს, თუმცა, შსს-ს წარმომადგენლებმა მათ უთხრეს, რომ მოსასმენი აპარატურის კვალი ვერც მათ და ვერც კინოლოგებმა აღმოაჩინეს.

16 ოქტომბერი

„ევროპული საქართველო“

„ევროპული საქართველოს“ საარჩევნო შტაბის მიერ მოწოდებული ინფორმაციით, საქართველოს ეროვნული ბიბლიოთეკის თანამშრომელ ნინო გოდენიძეს სამსახურიდან გათავისუფლებით დაემუქრნენ. ნინო გოდენიძის თქმით, „ქართული ოცნების“ წარმომადგენელმა სამსახურიდან გათავისუფლებით იმის გამო დაემუქრა, რომ მან არ გაამხილა, თუ ვის ანიჭებდა უპირატესობას არჩევნებზე. „ქართული ოცნების“ წარმომადგენელმა მას შეახსენა, რომ საჯარო სამსახურში მუშაობა ნიშნავს, ხმას აძლევდა მთავრობას ან “თვალის გაუსწორო პრობლემებს”. „ევროპულ საქართველოში“ მიიჩნევენ, რომ, შესაძლოა, სხვა თანამშრომლებიც განიცდიან მსგავს ზეწოლას.

15 ოქტომბერი

თბილისის მუნიციპალიტეტი

დიდუბე-ჩუღურეთის მაჟორიტარმა კანდიდატმა, ანა დოლიძემ „ქართული ოცნების“ მაჟორიტარობის კანდიდატის, გია ვოლსკის საარჩევნო შტაბი მისი კამპანიის თვალთვალში დაადანაშაულა.

როგორც დოლიძემ ამ საკითხზე გამართულ ბრიფინგზე განაცხადა, „ქართული ოცნების“ აქტივისტები მოქალაქეებთან მის შეხვედრებს უთვალთვალეებენ და ვიდეოებს იღებენ. ანა დოლიძე ფაქტის გამოძიებას, ორგანიზატორების გამოვლენას და საქმეზე მის დაზარალებულად ცნობას ითხოვს.

დოლიძის შტაბში აცხადებენ, რომ ერთ-ერთი მანქანა, რომელიც მათ წინასაარჩევნო შეხვედრებს დაჰყვება, არის წითელი „ჰონდა“, სახელმწიფო ნომრით: NN-035-NN (იხილეთ [ფოტომასალა](#)).

14 ოქტომბერი

ბოლნისის მუნიციპალიტეტი

ბოლნისში „ერთიანი ნაციონალური მოძრაობის“ მაჟორიტარი დეპუტატობის კანდიდატის, კახა ოქრიაშვილის საარჩევნო შტაბი გატეხეს. წადებულია კომპიუტერული ტექნიკა. პარტიის ერთ-ერთი ლიდერი დიმიტრი მაშკინი ვარაუდობს, რომ აღნიშნული ქმედება ჩადენილია იმ პირების მიერ, რომლებიც წინასაარჩევნოდ მათ მხარდამჭერებს ესხმიან თავს და ამ ჯგუფს გოგი მეშველიანის ძმა ხელმძღვანელობს. საქმეზე გამოძიება მიმდინარეობს.

14 ოქტომბერი

მცხეთის მუნიციპალიტეტი

წეროვანის საჯარო სკოლის დირექტორმა - რამინ ჩიტიშვილმა ხელისუფლება პოლიტიკური ნიშნით დევნაში დაადანაშაულა და განაცხადა, რომ დაკავებული თანამდებობიდან ცეზარ ჩოჩელის მხარდაჭერის გამო გაათავისუფლეს. მისი თქმით, მასზე ხორციელდებოდა ზეწოლა და აიძულებდნენ, შეედგინა პოლიტიკური მხარდამჭერებისა და მოწინააღმდეგეების სია. უარის შემდეგ კი ის თანამდებობიდან გაათავისუფლეს. განათლების სამინისტრომ ბრალდება უარყო და განაცხადა, რომ რამინ ჩიტიშვილს 6-წლიანი ხელშეკრულების ვადა გაუვიდა

13 ოქტომბერი

მცხეთის მუნიციპალიტეტი

ცეზარ ჩოჩელისა და კახა ოქრიაშვილის მხარდამჭერის, ბექა ლელუაშვილის განცხადებით, მისი დედა, დოდო ჭოტორლიშვილი, ქსნის საჯარო სკოლის დირექტორის თანამდებობიდან პოლიტიკური ნიშნით გაათავისუფლეს მას შემდეგ, რაც მან მმართველი გუნდის სასარგებლოდ პოლიტიკურ აგიტაციაზე უარი თქვა.

განათლების სამინისტროს განცხადებით, გაათავისუფლება არ მომხდარა და სკოლის დირექტორს ხელშეკრულების 6-წლიანი ვადა დაუმთავრდა.

12 ოქტომბერი

ქუთაისის მუნიციპალიტეტი

„ევროპული საქართველოს“ ქუთაისის შტაბს აგურები დაუშინეს. სათვალთვალო კამერების ჩანაწერებში ჩანს, თუ როგორ მიდის ახალგაზრდა მამაკაცი ოფისთან და ოთარ კახიძის ბანერს აგურებს ესვრის. დამნაშავე პოლიციის მიერ იდენტიფიცირებულია. გამოძიება დაიწყო საქართველოს სსკ-ის 187-ე მუხლის 1-ლი ნაწილით, რაც სხვისი ნივთის დაზიანებას ან განადგურებას გულისხმობს. თუმცა, ქუთაისის საქალაქო სასამართლომ დამნაშავეს მიერ ჩადენილ ფაქტს ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა კოდექსის 166-ე მუხლით გათვალისწინებული ქმედების კვალიფიკაცია მისცა, რაც წვრილმან ხულიგნობას გულისხმობს და მას სიტყვიერი შენიშვნა მისცა. (იხ. ფოტომასალა: <https://bit.ly/314FynQ>)

11 ოქტომბერი

გარდაბნის მუნიციპალიტეტი

მუქარის ფაქტი გარდაბნის მუნიციპალიტეტში. დამოუკიდებელი მაჟორიტარი დეპუტატობის კანდიდატის, სავალან მირზოევის განცხადებით, მას „ლელო საქართველოსთვის“ წევრი რამად მუსაევი სიცოცხლის მოსპობით დაემუქრა. რასად მუსაევის განცხადებით კი, მან პოლიტიკური მკვლელობა იგულისხმა. მიმდინარეობს გამოძიება.

9 ოქტომბერი

„ნაციონალური მოძრაობა“

9 ოქტომბერს საარჩევნო ბლოკის - „ერთიანი ნაციონალური მოძრაობის - ძალა ერთობაშია“ სამგორის მაჟორიტარობის კანდიდატმა ლევან ხაბეიშვილმა განაცხადა, რომ “ქართული ოცნება” საჯარო მოხელეებს აშინებს და აშანტაჟებს. ხაბეიშვილმა ჩანაწერიც [გაავრცელა](#).

როგორც ხაბეიშვილი აცხადებს, „ქართული ოცნების“ სამგორის რაიონის საარჩევნო შტაბის ხელმძღვანელი რევაზ სოხაძე შტაბის წარმომადგენლებს ავალებს, რომ მიუტანონ საჯარო მოხელეების სია, რომლებსაც შემდეგ სამსახურებში „დააკაჩავებენ“.

ამასთან, ლევან ხაბეიშვილმა საგამოძიებო უწყებებს აღნიშნულ ფაქტზე და ჩანაწერზე სისხლის სამართლის გამოძიების დაწყების მოთხოვნით საჯაროდაც მიმართა და გამოძიებასთან თანამშრომლობის მზად ყოფნა გამოთქვა. ხაბეიშვილის შტაბში აცხადებენ, რომ პროკურატურა ჩანაწერის ავთენტურობის დადგენით და საქმის გამოძიებით საერთოდ არ დაინტერესებულა. მათივე თქმით, თუკი გამოძება დაიწყება, ხაბეიშვილი მზადაა, დაასახელოს ის 2 საჯარო მოხელე, ვისაც აიძულებდნენ და აშანტაჟებდნენ.

ხაბეიშვილის ბრალდებას გამოეხმაურა “ქართული ოცნების” სამგორის შტაბის ხელმძღვანელი რევაზ სოხაძე. განცხადებაში ნათქვამია, რომ „არანაირი ძალადობა არავისზე არ ხდება“. სოხაძე აცხადებს, რომ არ აქვს ინფორმაცია, თუ ვინ არიან ამ აუდიოჩანაწერში მონაწილე პირები და ლევან ხაბეიშვილს მატყუარა უწოდა.

თბილისის მუნიციპალიტეტი

საარჩევნო ბლოკის - „ერთიანი ნაციონალური მოძრაობის - ძალა ერთობაშია“ სამგორის მაჟორიტარობის კანდიდატის, ლევან ხაბეიშვილის შტაბში აცხადებენ, რომ საჯარო ბაგა-ბაღებში არის მუქარა/ზეწოლის ფაქტები. მათი ინფორმაციით, სამგორის რაიონში ბაღის ხელმძღვანელობის სახელით ურეკავენ აღსაზრდელების მშობლებს და ეუბნებიან, რომ, თუ შვილი საჯარო ბაღში დაჰყავთ, ხმა სოზარ სუბარს და „ქართულ ოცნებას“ უნდა მისცენ, მაგალითად, ეს მოხდა ვარკეთილის მეტროსთან მდებარე 45-ე ბაგა-ბაღში, ინფორმაცია კი მათ თავად მშობლებმა მიაწოდეს.

8 ოქტომბერი

თბილისის მუნიციპალიტეტი

8 ოქტომბერს “ლელოს” ისნის ოლქის მაჟორიტარი დეპუტატობის კანდიდატმა ლანა გალდავამ „ფეისბუქზე“ გამოაქვეყნა [ვიდეო](#) და განაცხადა, რომ მეტრომშენის დასახლებაში მის მხარდამჭერებს ძალოვანი სტრუქტურების წარმომადგენლებმა საარჩევნო პლაკატების გაკვრისას მოსთხოვეს პერსონალური მონაცემები, დააშინეს ისინი, რომ ამ მონაცემებით მათი იდენტიფიცირება მოხდებოდა და დაიმასხოვრებდნენ. გამოიძახეს სამი ეკიპაჟი, რის შემდეგაც პირადად მივიდა და დააფიქსირა არა მხოლოდ პატრულ-ინსპექტორები, არამედ დაბურულშუშებიანი მანქანები. ლანა გალდავა აცხადებს, რომ ერთ-ერთი იყო საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტრო, საპატრულო პოლიციის დეპარტამენტის ქ. თბილისის მთავარი სამმართველოს ისანი-სამგორის სახაზო-საპატრულო სამმართველოს უფროსის მოადგილე შმაგი კვიციანიძე.

გალდავა, ასევე, ამბობს, რომ გარკვეული პირები მის აქტივისტებს აშინებენ და ზეწოლას ახორციელებენ. მისივე თქმით, ყველა ეს პირი იდენტიფიცირებულია, ესენი არიან: ისნის გამგეობის

სოციალური სამსახურის წარმომადგენლები და მეტრომშენის ზონის კოორდინატორი “ქართული ოცნებიდან”. გარდა ამისა, გალდავა საუბრობს ე.წ ქუჩის ავტორიტეტებზე, რომლებსაც „ქართული ოცნება“ ამომრჩეველზე ზემოქმედებისთვის იყენებს.

იმავე დღეს, ლანა გალდავამ ბრიფინგი გამართა და განაცხადა, რომ ისნის ოლქში სახელმწიფო უსაფრთხოების სამსახურის (სუს-ი)კუთვნილი ავტომანქანიდან (სახელმწიფო ნომრით: SZ-303-SZ) ამომრჩეველებთან მის შეხვედრებს უთვალთვალებენ. გალდავას თქმით, მანქანა ეკუთვნის სუს-ის ანალიტიკური სამსახურის თანამშრომელს და მისი მანქანით ამ თანამშრომლის მამა უთვალთვალებს.

ლანა გალდავას ბრალდებას გამოეხმაურა სუს-ი. „გვსურს გამოვხმაუროთ, გავრცელებულ ინფორმაციას, თითქოს სახელმწიფო უსაფრთხოების სამსახურის კუთვნილი ავტომანქანით ხორციელდება კონკრეტული პოლიტიკური პარტიის წარმომადგენლის თვალთვალი. გავრცელებულ ვიდეომასალაში ნაჩვენები ავტომობილი, სახელმწიფო ნომრით: SZ-303-SZ სახელმწიფო უსაფრთხოების სამსახურის საინფორმაციო ანალიტიკური დეპარტამენტის თანამშრომლის საკუთრებაა. საშვი, რომელიც დაფიქსირებულია ავტომობილის წინა საქარე მინაზე, გაიცემა სახელმწიფო უსაფრთხოების სამსახურის ავტოსადგომით სარგებლობისათვის, როგორც სამსახურის ბალანსზე არსებული, ასევე თანამშრომლების პირად საკუთრებაში არსებულ ავტომობილებზე",- აღნიშნულია განცხადებაში.

7 ოქტომბერი

თბილისის მუნიციპალიტეტი

7 ოქტომბერს დიდუბე-ჩუღურეთის დამოუკიდებელმა კანდიდატმა ანა დოლიძემ საჯაროდ გააკეთა განცხადება, რომ „ქართული ოცნების“ მაჟორიტარობის კანდიდატი გია ვოლსკი მის წინასაარჩევნო შეხვედრებზე პროვოკაციის მოსაწყობად ხალხს აგზავნის, ასევე, ხდება მის შეხვედრებზე მოსული ხალხის დაშინება და შანტაჟი.

დოლიძის თქმით, მაგალითად, „ქართული ოცნების“ აქტივისტებმა პროვოკაცია მოუწყვეს მას აგლადის ქუჩაზე და სანამ შეხვედრა დაიწყებოდა, იქ შეკრებილი მოსახლეობის გადაღება და შემდეგ მუქარა დაიწყეს. ის ამბობს, რომ ეს არ არის პირველი შემთხვევა, მოსახლეობასთან ყველა შეხვედრის დროს დაჰყვებიან საშუალო ასაკის ადამიანები, ძირითადად, ქალბატონები, ტელეფონებით იღებენ, ვინ ესწრება შეხვედრას და შემდეგ, როგორც მისი მხარდამჭერები ეუბნებიან, მათ აშანტაჟებენ შვილებით, საჯარო სამსახურიდან გათავისუფლებით და ა.შ.